# ხელშეკრულება №33
# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
# (მომსახურების შესყიდვა)

ქ. გორი 21 აგვისტო 2017 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქ. გორის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლების გაერთიანება (საიდენტიფიკაციო კოდი: 418469552) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ გიორგი პურიჯამიაშვილის სახით (შემდგომში – შემკვეთი) და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. შონი მისი დირექტორის ნინო ელიოზიშვილის სახით (შემდგომში – შემსრულებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემკვეთის დავალებით, შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოთ, შემსრულებლის მიერ შემდეგი მომსახურების გაწევა: სპორტული სკოლების გაერთიანების ბალანსზე რიცხული 7 (შვიდი) სპორტული დარბაზის და გასახდელების 5000 კვ.მ ფართობის დეზინფექცია-დერატიზაციის მომსახურების შესყიდვა.

## 2. მომსახურების ობიექტი

2.1 მომსახურების ობიექტია: CPV 90921000 - დეზინფექცია-დერატიზაციის მომსახურეობები.

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. მომსახურების ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

3.2. მომსახურების ობიექტის ღირებულებაა – 600 (ექვსასი) ლარი.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდები ვადა, ხარისხი და გარანტია

4.1 მომსახურების გაწევის ვადაა – არაუგვიანეს 2017 წლის 29 აგვისტო.

4.2 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემკვეთის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.3 შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს პირადად.

## 5. მომსახურების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსრულებლისა და შემკვეთის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. მომსახურების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, თანხის შემსრულებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემკვეთს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემკვეთი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. შემსრულებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემკვეთს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. შემსრულებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## *8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

## *9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან – 2017 წლის 20 ნოემბრამდე.

## *10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *11. ფორს-მაჟორი*

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## *13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

13.1. შემკვეთი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემკვეთის მხრიდან განახორციელებს ორგანიზაციის დირექტორი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემკვეთი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *14. სხვა პირობები*

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## *15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

| შემკვეთი: | შემსრულებელი: |
| --- | --- |
| ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის | შ.პ.ს. შონი |
| სპორტული სკოლების გაერთიანება | ს/ნ 417883525 |
| ს/კ 418469552 | მის: ქ. გორი, სამეფოს ქ. N10 |
| სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 | ს.ს. თიბისი ბანკი |
| გორი, სტალინის ქ. №11 | ბანკის კოდი: TBCBGE22 |
| ტელ : 0(370) 27-91-03 | ანგ : № GE36TB7323936020100003 |
| /გ. პურიზამიაშვილი/ | /ნინო ელიოზიშვილი/ |

# მიღება-ჩაბარების აქტი

(ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ)

ქ. გორი                                                                                    28 აგვისტო 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქ. გორის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლების გაერთიანება (შემდგომში – შემკვეთი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **მ/შ გიორგი პურიჭამიაშვილის სახით** (საიდენტიფიკაციო კოდი 418469552) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. შონი დირექტრის ნონა ელიოზიშვილის სახით (შემდგომში როგორც - შემსრულებელი) ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2017 წლის 21 აგვისტოს ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (მომსახურების შესყიდვა) მოთხოვნათა შესაბამისად „შემკვეთი“ „შემსრულებელს'' გაწეული მომსახურების სანაცვლოდ გადაურიცხავს 600 (ექვსას) ლარს. მხარეებს პრეტენზიები არ გააჩნიათ.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით.

შემსრულებელი :                                                                                    შემკვეთი :

ნ. ელიოზიშვილი                                                                                    გ. პურიჭამიაშვილი